განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად თამბაქოს ნედლეული 2015 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისგან, ხოლო თამბაქოს ნაწარმი იბეგრება 12%-იანი განაკვეთით. კოდექსით, სასაქონლო ჯგუფი - „თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები“ იმპორტის დაბეგვრისათვის მიჩნეულია როგორც თამბაქოს ნაწარმი. ამ ჯგუფში გაერთიანებულია 24 03 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი, (ე.წ. ღეროგამოუცლელი დაჭრილი თამბაქო), რომელიც ადგილობრივ წარმოებაში გამოიყენება როგორც ნედლეული. შედეგად, რეალურად ადგილობრივი წარმოების მიერ მოხმარებული ნედლეული ექცევა 12%-იან დაბეგვრის რეჟიმში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის 188-ე მუხლის თანახმად, ზემოხსენებული სასაქონლო კოდებით გათვალისწინებული საქონელი აქციზით იბეგრება იმ შემთხვევაში თუ დაფასოებულია პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 500 გრამისა. ამგვარად, კანონმდებლობით, ერთი და იმავე საქონლის მიმართ დადგინდა განსხვავებული მიდგომა. კანონპროექტის მიღების მიზეზი სწორედ აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებაა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია არ დაიბეგროს 12%-იანი იმპორტის გადასახადით სასაქონლო ჯგუფში - „თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები“ გაერთიანებული 24 03 11 000 00 და 24 03 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული ის საქონელი, რომელიც გამოიყენება სიგარეტის წარმოებისათვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით იცვლება 197-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის 121-ე გრაფა, რომლის მიხედვითაც 24 03 11 000 00 და 24 03 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი 12%-იანი იმპორტის გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 500 გრამისა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. თუმცა წინასწარ იმის განსაზღვრა თუ რა ოდენობით მოხდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვლილება, შეუძლებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება დადებითად იმოქმედებს იმ პირების შემდგომ ფინანსურ შედეგებზე, რომლებიც ახორციელებენ კანონპროექტით წარმოდგენილი საქონელის იმპორტს და ნედლეულის სახით იყენებენ წარმოებაში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი ზურაბ ტყემალაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი ზურაბ ტყემალაძე